საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №5
2026 წლის 16 იანვარი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 0902 - „სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„290	0902	სსიპ – „საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5388 – „ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ჰაბი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1520[229]	5389	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალური სერვისცენტრი“;

2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 3195 – „საკონტეინერო მოსაკრებელი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი	3196“;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7360 – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამედიცინო ცენტრი თერაპიული კლინიკა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

„სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა	7361“;

გ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7822 – „პროგრამა ადგილობრივ დონეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ სტანდარტის შესაბამის (CLEAR) წყალზე“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები:

„ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება (AFD) – თანადაფინანსება	7823;
ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება (AFD) – გრანტი	7824;
ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება (AFD) – კრედიტი	7825“.“

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**